ძვირფასო ოზურგეთელებო!

საბანკეტო დარბაზი „ელეგანტი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ჯანმრთელობის, სიხარულის, სიხალისის, სიყვარულის, ბედნიერების, ქორწინებების და ძეობების წელი ყოფილიყოს საუკუნის მეთექვსმეტე წელიწადი.

იყავით ელეგანტურები და მობრძანდით ჩვენს საზეიმო ღონისძიებაზე. გვერწმუნეთ, აქ დაუფლებული საშობაო, საახალწლო და საკალანდო განწყობილება დიდხანს არ გაგინელდებათ.

გამრავლდით, გაძლიერდით და გააძლიერეთ თქვენი ოჯახები, ჩვენი ერი და ჩვენი ქვეყანა!

მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს!

მისამართი ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №51 (10141), 28 დეკემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

დამდეგ ახალ წელს, შობა-კალანდას ვულოცავ სრულიად საქართველოს - ჩემს გურიას! 2016 წელს თითოეული თქვენგანის ოჯახში სიკეთე და ულევი სიხარული მოეტანოს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, უკეთესი მომავლის რწმენას! უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ ჩემო ძვირფასებო!

გია სალუქვაძე

გურიის გუბერნატორი

გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ხვავი და ბარაქა დაგბედებოდეთ! ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის სიკეთის, სიხარულის და წარმატებების მომტანი!

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ყოველი ახალი წლის დადგომა ახალ იმედებთან და უკეთესი მომავლის სურვილთან არის დაკავშირებული. მინდა გულითადად მივულოცო ოზურგეთელებს, გურიას და მთელ საქართველოს დამდეგი შობა–ახალი წელი! თითოეულ თქვენთაგანს ვუსურვებ დიდ ბედნიერებას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას! 2016 წელი იმედების გამართლებისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს.

მერაბ ჭანუყვაძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს! იღბლიანი და წარმატებული, ბედნიერებისა და მშვიდობის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის. ღმერთმა გაგაძლიეროთ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოზურგეთში განგაშის ზარები ახმიანდა

კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა უნდა აღსრულდეს!!!

გორჩა ჭანიშვილი

თუ ასე გაგრძელდა, უკიდურეს ზომებს მივმართავთ. მეტი რაღა დაგვრჩენია?! შეწყდეს ოზურგეთში ტყეის გაღაღნობა და დროზე მოგვხედოს ხელისუფლებამ, თორემ ჩვენი მომავლის გადასარჩენად ყველაფერზე ვართ წამსვლელი! - განაცხადეს მრავალშვილიანმა დედებმა.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ბეგლარ სიორიძე: „მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ ყოფილა შემთხვევა, ქალაქის მერიისათვის ვინმეს მოემართა დასახმარებლად და ის უყურადღებოდ დაგვეტოვებინა“

ქალაქ ოზურგეთში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ბუმია. მათი უმეტესობა უკვე დამთავრებულია, ზოგი კი დამთავრების სტადიაშია. შესაბამისად, ქალაქმაც მნიშვნელოვნად იცვალა იერსახე, უფრო სრულყოფილი და მოწესრიგებული გახდა. ოზურგეთელი საზოგადოების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, მიესალმება ამ ფაქტს, მეორე ნაწილი კი კრიტიკული თვალით უყურებს ყოველივე ამას და მიიჩნევს, რომ ქალაქის ხელისუფლების მხრიდან თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში ძირითადი აქცენტის გადატანამ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ჩრდილში მოაქცია სოციალური პროგრამები. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, წინასაახალწლო დღეებში, სწორედ ამ საკითხზე ორად ორი კითხვა დავუსვით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ბეგლარ სიორიძეს.

– ბატონო ბეგი, საზოგადოებრიობას რომ სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდეს, რა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა ქალაქ ოზურგეთში 2015 წელს?

– პირველ რიგში, ყველა ოზურგეთელს მივესალმები და მივულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. წარმატებების, სიხარულის, ბედნიერების, ბარაქის წელი ყოფილიყოს ყოველი ჩვენგანისთვის 2016 წელი.

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ჩრდილში მოექცა სოციალური პროგრამები, რა თქმა უნდა, ასე არ არის და არც იქნება. 2016 წელს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა

და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფისათვის ხორციელდებოდა და ხორციელდება 14 პროგრამა. **შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამით,** მოქალაქეებს, რომლებიც ერთიან სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული არიან 57001-150001 სარეიტინგო ქულით, გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით, აგრეთვე შეჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც ხსენებულ ბაზაში რეგისტრირებული არიან 0-დან 150001 ქულით, სამედიცინო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წილობრივი გადასახდელი თანხებიდან გაეწიათ დახმარება: 0-დან 500 ლარამდე – 70%-ის დაფინანსებით, 501 ლარიდან 1500 ლარამდე – 400 ლარის ოდენობით, 1500 ლარიდან ზემოთ – 500 ლარის ოდენობით.

თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებით ჩვენს მოქალაქეებს დავეხმარეთ ერთჯერადად 200-200 ლარით, პერიტონალურ შემთხვევაში (ტრანსპორტირების თანხა ბენეფიციარზე) ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი..

უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამით ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარია და ამ სოციალური სერვისითაც ისარგებლეს ოზურგეთელმა მოქალაქეებმა.

მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა; ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული დაფინანსება; მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; ვეტერანთა დახმარების პროგრამა; ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა; ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა და სხვ.**

ამ პროგრამებს მომავალი წლიდან დაემატება: **C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევის დაფინანსება; კომუნალური სუბსიდირება; უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება, ბინის ქირით უზრუნველყოფა; მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისთვის ახალშობილთა მატერიალური დახმარება.**

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალაქის მერიისათვის ვინმეს მოემართა დასახმარებლად და ის უყურადღებოდ დაგვეტოვებინა. რა თქმა უნდა, ეს დახმარება საკმარისი არ არის, მაგრამ ვაკეთებდით და ვაკეთებთ იმას, რაც შესაძლებელია კანონის ფარგლებში. ბედნიერი ვიქნებოდი, ვყოფილიყავი ისეთი ქალაქის მერი, სადაც სოციალურად არავის უჭირს. სამწუხაროდ, ამ რეალობიდან ჯერჯერობით შორს ვართ.

– ერთი ასეთი კითხვაც, წლის ბოლოსათვის თვალში საცემია ქალაქში მშენებლობების დაჩქარებული ტემპი. ჭორიც დადის, ამ წელში ვერ ასწრებენო. რა ვერ მოასწარით?

– როცა ხელისუფლებაში მოვედით, 2014 წელს დაგვხვდა გარდამავალი პროექტები, რომლებიც ყველა დასრულდა. რაც შეეხება 2015 წელს, არაერთი პროექტი განვახორციელეთ ქალაქში როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე რეგიონული ფონდიდან გამოყოფილი თანხებით. ჯამში 70-ზე მეტი პროექტი შესრულდა. რომ „ვერ მოვასწარით“, ასეთი არ არსებობს, ყველა პროექტი ხორცილდება იმ ვადის ფარგლებში, რა ვადითაც არის გაფორმებული ხელშეკრულებები შემსრულებლებთან. ასე რომ, რაც 2017 წელს უნდა დასრულდეს, ის 2017-ში დასრულდება.

– და ბოლოს, მადლობა რომ დრო გამონახეთ ჩვენთან სასაუბროდ. „ალიონი“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს.

– მადლობა თქვენ, მეც გილოცავთ, ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ.

წლის შემაჯამებელი საკრებულოს სხდომა ხმაურიანი გამოდგა

ალიონი. 25 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. საკრებულომ 2016 წლის ბიუჯეტზე იმსჯელა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 9066,7 ათასი ლარით განისაზღვრა.

სხდომის გახსნამდე საკრებულოს წევრებს გურიის გუბერნატორი **გია სალუქაძე** მიესალმა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა.

-მუნიციპალიტეტს საკუთარი შემოსავლები ორ მილიონამდე გაეზარდა. შესაბამისად მომავალი წელი ოზურგეთის მოსახლეობისთვის გაცილებით უკეთესი იქნება. ინფრასტრუქტურის, განათლების, კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - ეს ის პრიორიტეტებია, რომლებსაც მუნიციპალიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე პირნათლად შეასრულებს. მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები გისურვოთ,- მიმართა გუბერნატორმა საკრებულოს წევრებს.

დავით მჟავანაძის განცხადებები

–ჩემი შეკითხვა რუსულ კომპანიას შპს „ლიტონს“ უკავშირდება, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირდა და ოზურგეთში მოიგო ერთ-ერთი ტენდერი და 2 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაო უნდა შეასრულოს. რატომ ხდება ის, რომ ხელშეკრულებას ვუდებთ იმ კომპანიას, რომელიც ერთი კვირის წინ დარეგისტრირდა? ფაქტია რომ აქ არის კორუფციული გარიგებები და რატომ ხდება ეს. - განაცხადა **დავით მჟავანაძემ.**

–წარმოდგენა არ მაქვს ვისზე და რასზე ლაპარაკობთ, ან რა კომპანიაზეა საუბარი. სხდომის დასრულების შემდეგ დავსხდეთ ჩემს კაბინეტში და ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად გავიაროთ ის საკითხი, რაც თქვენ გაინტერესებთ. –უპასუხა მჟავანაძეს გურიის გუბერნატორმა, გია სალუქაძემ.

მჟავანაძე მერებ ჭანუყვაძის ოჯახსაც გადაწვდა.

–თქვენი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, 2012 წელს, თქვენი ოჯახის წევრები წარმოადგენდნენ „ნაციონალურ მოძრაობას,“ თუ საუბრობთ, რომ წინა ხელისუფლების დროს სუსი განაგებდა ხელისუფლებას, თუ ეს ხდებოდა, მაშინ აღიარეთ ისიც, რომ თქვენი ძმაც იყო ძალიან მაღალ თანამდებობაზე და იყო...

- პოპულისტი ხართ პირდაპირ გეტყვით და მეორე, ჩემი ძმა არის პოლიციელი და იმის გამო, რომ არ ერეოდა პოლიტიკაში, 2010 წელს წავიდა პოლიციიდან. ასე რომ თავი შეიკავეთ ასეთი გამოსვლებისგან,– უპასუხა **მერაბ ჭანუყვაძემ**

მჟავანაძე-ჭანუყვაძის კამათი წყალსადენებსაც შეეხო. დეპუტატმა სოფელ ჯუმათისა და ჭანიეთის წყალსადენების პროექტები გააკრიტიკა.

–2017 წლის ბოლოს მოწესრიგდება წყალსადენი, რომელიც საერთოდ არ ყოფილა, ახალი კანალიზაციის სისტემა, გაზი, კომუნიკაციები და ამის შემდეგ დაიწყება სრული რეაბილიტაცია გზის მონაკვეთების, რომელიც დაწყებულია და არ იქნება ისე, როგორც შემოქმედის წყალსადენია, რომელზეც უამრავი თანხა დაიხარჯა და ის ფაქტობრივად აღარ არსებობს. რაც შეეცება ჯუმათის წყალსადენს, ყველაფერი ისე მიდის, როგორც პროექტითაა გათვალისწინებული- უპასუხა ჭანუყვაძემ.

მჟავანაძის მორიგი კრიტიკის ობიექტი დება ურეკი იყო.

-სად არი ივანიშვილი, ურეკში ხალხს სოლარიუმების გაკეთებას და სამოთხეს რომ პირდებოდა? გაუსაძლის მდგომარეობაშია მოსახლეობა და ანტისანიტარიაა. ეს არის თქვენი აღმშენებლობა? ეს არის თქვენი ხელისუფლების ნამდვილი სახე, მოატყვილოთ და გადაგდოთ ხალხი. ჩადით და ნახეთ რას გავს სანაპირო ზოლი და ქუჩები. რაც გაკეთეთ ყველაფერი უნიათოთ არის გეკეთებული...

–თავი შეიკავეთ უმსგავსო შეკითხვებისა და გასმოსვლებისაგან. კარგად ვიცით, ვინ ვისი სახეა. ურეკი „ნაციონალების“ დროს იყო დაკეტილი და მართლა ანიტისანიტარია სუფევდა იქ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ურეკში მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყო, მოწესრიგდა წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემები. უნიათოდ თქვენ აკეთებდით ყველაფერს, ბოლოს რა გაკეთე ჭანიეთში გახსოვს? თქვენზე უკეთ ვიცით სად რა უნდა გავაკეთოთ. თუ რომელიმე კომპანია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით არ შეასრულებს სამუშაოებს, მას ჯარიმები დაეკისრება და ეა თქვენი გადასაწყვეტი არაა. შენ პოპულისტი ხარ პირდაპირ გეტყვი და შენთან დებატებს არ ვაპირებ. ის, რომ დღეს გამოდიხარ და ამ განცხადებებს აკეთებ, აი ესა ამ ხელისუფლების დამსახურება“ - აღნიშნა ჭანუყვაძემ.

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ წარმოადგინა. მისი თქმით მომავალი წლის ბიუჯეტი 2,3 მილიონი ლარითაა გაზრდილი. მუნიციპალიტეტმა მომავალი წლის მთავარ პრიორიტეტად ინფრასტრუქტურული პროექტები გათვალა, რაზეც ბიუჯეტის დაახლოებით 25% დაიხარჯება.

განხილვაში ფრაქციების მიხედვით დეპუტატები მონაწილეობდნენ, შემდეგ კი გაიმართა კენჭისყრა. ბიუჯეტის აღნიშნულ პროექტს 32 დეპუტატიდან 29 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, სამმა თავი შეიკავა.

ოზურგეთში განგაშის ზარები ახმიანდა

კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა უნდა აღსრულდეს!!!

გოჩა ჟანიშვილი

25 დეკემბერს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისში გამართული ხმაურიანი შეხვედრის საფუძველი ქალაქის მოსახლეობის, კერძოდ, ექადიის უბნის, თაყაიშვილის ქუჩის და ბასრის უბნის მცხოვრებთა ემოციური განცხადება გახდა.

მოსახლეობის მკვეთრად გამოხატული პროტესტი ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის შენობაში მიმდინარე ინდური კომპანიის საქმიანობას შეეხება.

მოსახლეობის თხოვნით, ადგილობრივი და ცენტრალური პრესა ორი წელია აქვეყნებს მასალებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ყოფილ მანქანათმშენებელ ქარხანაში. გამოიკვეთა მრავალი სამართალდარღვევის ფაქტი, რომელზეც სათანადო რეაგირება ჯერ არ განხორციელებულა. ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობისა და პრესისათვის უცნობია, რადგან თუ რაიმე სახის რეაგირება მოახდინა შესაბამისმა უწყებებმა, მას შედეგი აქამდე არ გამოუღია.

მწვავე თემის განსახილველად და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია გურიის მხარის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელები და პრესის წარმომადგენლები. ასევე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სპეციალისტთა ჯგუფი და ქალაქის მოსახლეობა. მასთან ერთად ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ამჟამინდელი მფლობელი ინდური კომპანია „მანსაროვარ“ და მისი მოიჯარე შპს „ჯეო-გადამამუშავებელი“, რომლის უკანონო, არალეგალურმა საქმიანობამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის პროტესტი.

ის, რომ „ჯეო გადამამუშავებელი“ კომპანია „მანსაროვარ“-ის მოიჯარეა და რამდენიმე წელია ყოფილი ქარხნის ერთ-ერთ საამქროში ამორტიზებული აკუმულატორებიდან კუსტარულად ადნობს ტყვიას და დნობის პროცესის დროს გამონაბოლქვი წამლავს გარემოს, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას, უკვე დიდი ხანია იცის საზოგადოებამ და მხარის, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ.

არასამთავრობო სექტორი, საია-ს სახით, იმიტომ ჩაერთო ამ პრობლემური საკითხის მოგვარების საქმეში, რომ მოსახლეობა მხოლოდ პრესის საშუალებით ვერ აღწევს სასურველ შედეგს და საერთო ძალისხმევით, იქნებ დაჩქარდეს აქამდე გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება.

შეხვედრაზე ყველა მხარე იყო წარმოდგენილი, ქალაქის მერიის გარდა. მოტივი – მანქანათმშენებელი სოფელ ლიხაურშია და ქალაქს არ ეხებაო (?!).

ცნობისათვის: როცა ოზურგეთის ექსპერიმენტული მანქანათმშენებელი ქარხანა გაიყიდა, იგი მდებარეობდა ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის №20-ში მდებარე მიწის ნაკვეთით 30150 კვ/მ ფართით და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობებით, 26.26.15. 273.

„მანსაროვარ“-მა რომ შეიძინა, ადმინისტრაციული შენობა ისევ ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩა №20-ში დარჩა და მისი საფოსტო მისამართი დღესაც იგივეა, ხოლო ქარხნის ეზო და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები გაყიდვისას, უცებ სოფელ ლიხაურში აღმოჩნდა, იმიტომ, რომ სოფლის მიწა გაცილებით ნაკლები ღირს და სახელმწიფო ბიუჯეტში „მანსაროვარ“-მა ქალაქის ტერიტორიაზე შეძენილ ქონებაში სოფლის მიწის ღირებულება გადაიხადა.

კარგი იქნება, ქალაქის მერია თუ მოიკვლევს, ვისი ინტერესით დაკარგა ქალაქ ოზურგეთმა 30150 კვ/მ მიწის ფართობი.

ჰოდა, აქაოდა, რადგან ქალაქის ქონება სოფლის მიწის ფასად შევიძინეთ, აქ ყველაფერი შეიძლებაო და „მასაროვარ“-ის მოიჯარე „ჯეო გადამამუშავებელმა“, რომელსაც საჯარო რეესტრში რეგისტრაცია აქამდე შეჩერებული აქვს, „მანსაროვარ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების არქონის გამო, 4 წლის წინ დაიწყო ამორტიზებული აკუმულატორების მიღება-გადამუშავება და ტყვიის გადადნობა. მათი საქმიანობით შეწუხებულმა მოსახლეობამ განგაში რომ ატეხა, „ჯეო გადამამუშავებლის“ ხელმძღვანელობამ გაზეთ „გურიის მოამბეში“ გასული წლის 3 ნოემბერს განცხადება გამოაქვეყნა, რომ 26 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაცულ შენობაში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა შედგებოდა.

დღეს, „ჯეო გადამამუშავებელის“ მენეჯერი, სალომე ქათამაძე თავს იმით იმართლებს, რომ აღნიშნული განხილვა შედგა და მას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის წარმომადგენლებიც

ესწრებოდნენ, მაგრამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბადრი გობრონიძე ამტკიცებს, რომ მსგავსი შეხვედრა და პროექტის განხილვა არ შემდგარა, რადგან მას არც მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელები და არც მოსახლეობის წარმომადგენლობა არ დასწრებია.

ამასვე ადასტურებს თამაზ ლომჯარია, მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის განყოფილების ხელმძღვანელი, რომელი განყოფილების ნებართვის გარეშე, არ შეიძლება განიხილებოდეს მსგავსი პროექტები. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ირინე ლომინაძემ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში „ჯეო გადამამუშავებელს“ კანონი არ დაურღვევია, მან მოაწყო საჯარო განხილვა და თუ მას ვინმე არ დაესწრო, ეს პროექტის ავტორთა პრობლემა არ არის, თუმცა ქალბატონმა ირინემ ბევრი ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა სამუშაოები ჩაატარა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურმა ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე. მისივე განცხადებით, ტყვიის დნობის პროცესს ვერ შეესწრო, მაგრამ ადგილზე აღმოჩენილი მდგომარეობა მრავალ კითხვას ბადებს. კერძოდ, პლასტმასის დნობის შედეგად გამოწვეული მრავალი დარღვევა, რაც გარემოზე აისახება. მანვე აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ექადიის ტერიტორიაზე დაკლული ოთხი სხვადასხვა საქონლის ხორცის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების დროს, ტყვიის ჭარბი რაოდენობა არის აღმოჩენილი და არ არის გამორიცხული, რძის პროდუქტებშიც აღმოჩნდეს ტყვია, რაც თავისთავად მავნებელია ადამიანის ჯამრთელობისათვის.

რადგან, ახლომდებარე საწარმოების შემოწმებისას მსგავსი ტიპის წარმოება არ აღმოჩნდა, რომლის პროდუქციის მისაღებად ტყვიის შემცველი ნედლეული იქნას გამოყენებული, ე.ი აქ ყოფილ მანქანათმშენებელში მართლაც ხდება რაღაც ისეთი, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს, – დაასკვნა ბოლოს ირინე ლომინაძემ.

გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძემ აღნიშნა, რომ იგი მიესალმება ბიზნესის განვითარებას და რაც მხარის ხელმძღვანელობაზე არის დამოკიდებული, ყველაფერს გააკეთებს ამისათვის, მაგრამ ბიზნესსაქმიანობა თუ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება, ამის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება. ბატონმა გიამ აღნიშნა ის სამართალდარღვევები, რომელიც „ჯეო გადამამუშავებელის“ საქმიანობაში იკვეთება. მან ასევე აღნიშნა გუბერნატორ გია სალუქაძის დამოკიდებულება პრობლემური საკითხის მიმართ და შეკრებილ საზოგადოებას გააცნო გუბერნატორისა და მისი აპარატის მიმართვაზე მიღებული საპასუხო წერილი ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროსაგან, რომლითაც შევიტყვეთ, რომ სხვადასხვა პრობლემის მოგვარებასთან ერთად, მიმდინარეობს „მანსაროვარ“-ისა და „ჯეო გადამამუშავებელის“ საკითხის შესწავლა, რაზეც ბატონმა გია ებრალიძემ თხოვნით მიმართა ირინე ლომინაძეს, რომ დაჩქარდეს პასუხი, რადგან გუბერნატორის აპარატი ვალდებულია მოსახლეობის მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს და დაეხმაროს პრობლემის მოგვარებაში.

გუბერნატორის მოადგილე იოსებ ერქომაიშვილმა ისაუბრა იმ შეუსაბამო გარემოებებზე, რომელიც „ჯეო გადამამუშავებელის“ გარშემო არის შექმნილი. ბატონი იოსების განმარტებით, ინვესტიციის მოზიდვა ბიზნესის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს მაშინ, როცა ხალხის საკეთილდღეო საქმე კეთდება. მაგრამ, როცა ხალხი შეწუხებულია ისე, რომ აღშფოთებას ვეღარ მალავს და ამაში უკვე ფართო საზოგადოება არის ჩართული, დროა, სათანადო ზომები იქნეს მიღებული. დღევანდელი შეხვედრა არ უნდა შედგეს მხოლოდ შეხვედრისათვის. შევიკრიბეთ იმისთვის, რომ მივიდეთ გადაწყვეტილებამდე. აუცილებელია „ჯეო გადამამუშავებელის“ წარმოების პროექტის განხილვა მართლა მოხდეს და გათვალისწინებულ იქნეს მისი ადგილმდებარეობა რამდენად არის მიზანშეწონილი მჭიდრო მოსახლეობაში.

მსჯელობისას, „ჯეო გადამამუშავებლის“ მენეჯერმა სალომე ქათამაძემ კატეგორიულად უარყო ყველა ფაქტი, რომელიც აღინიშნა, რამაც შეხვედრაზე დამსწრე ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელთა აღშფოთება გამოიწვია.

თაყაიშვილის ქუჩაზე მცხოვრები ხათუნა ცირეკიძე და რუსუდან ანდღულაძე თავიანთ გაუსაძლის მდგომარეობაზე და თანამოქალაქეების იმ უკიდურეს გასაჭირზე გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნავენ, რომ ყველაფერთან ერთად ძალზე გამაღიზიანებელია „მანსაროვარ“-ისა და „ჯეო გადამამუშავებელის“ მესვეურთა ცინიკური დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ. თუ ასე გაგრძელდა, უკიდურეს ზომებს მივმართავთ. მეტი რაღა დაგვრჩენია?! შეწყდეს ოზურგეთში ტყვიის გადადნობა და დროზე მოგვხედოს ხელისუფლებამ, თორემ ჩვენი მომავლის გადასარჩენად ყველაფერზე ვართ წამსვლელი! - განაცხადეს მრავალშვილიანმა დედებმა.

ქალაქის საკრებულოს წევრი ირინე საჯაია თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებია და, ბუნებრივია, მასაც აწუხებს ის სიტუაცია, რაზეც შეხვედრაზე იყო უფრო კამათი, ვიდრე საუბარი. ქალბატონმა ირინემ აღნიშნა, რომ მასაც აწუხებს ის სუნი, რომელიც დროდადრო იგრძნობა მის უბანში.

მძაფრი სუნი იქ მართლაც არის, მეც ბევრჯერ მიგრძნია, როცა მოსახლეობის თხოვნით ადგილზე მივსულვარ, – დაადასტურა საკრებულოს წევრმა, ქალაქის ექადია-ანასეულის უბნის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლავრენტი ბიგვავამ.

ყველასათვის შემაწუხებელია სუნი, რომელიც განსაკუთრებით ღამის საათებში იგრძნობა, რადგან აქ ტყვიის დნობა სწორედ ღამის საათებში ხდება და დნობის პროცესის დროს გამოყოფილი კვამლი შავი ღრუბელივით აწევს ქალაქ ოზურგეთს. მიუხედავად იმისა, რომ „ჯეო გადამამუშავებელის“ მენეჯერი სალომე ქათამაძე ჯიუტად უარყოფს ყველაფერს, ფაქტი უფრო ჯიუტია. იქ მომუშავე ადამიანები ყვებიან იმის შესახებ, რაც შიგნით ხდება და ამის დამადასტურებელი ფაქტები „ალიონის“ რედაქტორ ნუგზარ ასათიანს და საია-ს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელ თამაზ ტრაპაიძეს აქვთ მოპოვებული იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ფლობენ ზუსტ ინფორმაციას.

მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე საია-ში გამართული შეხვედრა იმით დასრულდა, რომ თამაზ ტრაპაიძის შეთავაზებულ წინადადებაზე – „აუცილებელია უახლოეს პერიოდში მოხდეს პროექტის საჯარო განხილვა და მოსახლეობას მიეწოდოს სრული ინფორმაცია, თუ როგორ გარემოში ცხოვრობს და რა კეთდება მის დასაცავად,“ - ყველა მხარე შეთანხმდა.

სალომე ქათამაძემ მიიღო წინადადება იმის გათვალისწინებითაც კი, რომ შეიძლება განიხილონ საწარმოს სხვა ტერიტორიაზე გახსნის საკითხი. ახლა ყველაფერი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასკვნაზე, გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებასა და ხელისუფლების რეაგირებაზეა დამოკიდებული.

კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა უნდა აღსრულდეს!!!

კანონი მკაცრია, მაგრამ ის კანონია!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ მშვიდობას, წინსვლას, წარმატებებს! ახალ 2016 წელს სიკეთე და სიხარული მოეტანოს თითოეული თქვენგანის ოჯახში და სრულიად საქართველოსათვის!

პატივისცემით,
დიმიტრი კვერღელიძე
ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, შვილთა სიმრავლეს, ქვეყნის გამთლიანებას.

უფლის მადლი არ მოგკლებოდეთ!

ბადრი გობრონიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

ჩემო ძვირფასო ოზურგეთელებო! დიდი სიყვარულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. არ მოგკლებოდეთ ღვთის მადლი, ჯანის სიმრთელე, სიხარული და ბედნიერება. მუდამ გახსოვდეთ, თქვენს სამსახურში ვართ.

კობა დუნდუა
ქ. ოზურგეთის მერის მოადგილე

გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! უფლის მადლით გამარჯვების, წინსვლის გზით გვევლოს, ერთმანეთის სიყვარულით გვეცხოვროს მშვიდობიან და ერთიან საქართველოში.

გია მამაკაიშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



2016 წელი მშვიდობის, ბედნიერების, სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს ყოველი ოზურგეთელისათვის. გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, წინსვლას შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

ამირან გირკელიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსი



ჩემო ოზურგეთელებო, ჩემო მაკვანეთელებო! გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას.

უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ.

ნუგზარ კალანდარიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს!

ოლეგ გობრონიძე,
ს/ს „იმედის“ დირექტორი

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული განვითარების ცენტრი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

აფთიაქი „ისიდორე“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ქ. ოზურგეთის განათლების, კულტურის და გენდერული თანასწორობის სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

შობა - ახალ წელს ვულოცავ ჩემს საყვარელ ოზურგეთელებს და სრულიად საქართველოს!

კიდევ ერთი წელიწადი ხდება ისტორიის საკუთრება. ყოველ ახალ წელს უკეთესი მომავლის იმედით ვეგებებით. მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო თვალსაზრისით, ყველაფერს აკეთებს, რომ თქვენი სურვილები რეალობად აქციოს. ამ კუთხით განხორციელებული ღონისძიების მოწმენი თავად ბრძანდებით. ჩვენი მხრიდან ქვეყნის წინსვლისათვის გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები კვლავაც გაგრძელდება. მინდა თითოეულ ოჯახს დაეტყოს ეს ზრუნვა და ყველამ იგრძნოს წარმატების სიხარული. ჯანმრთელობა, ხალისი არ მოკლებოდეს თქვენს ნაგრამს. ყოველი დღე სიყვარულითა და სიკეთით გაგეთენებოდეთ, სიმღერის წამომწყები და მოკრიმანჭულე არ გამოგლეოდეთ, ხვავს და ბარაქას გაევსოს თქვენი ბეღლები და რაც მთავარია, მშვიდობა ყოფილიყოს ქვეყანაზე. მშვიდობა, რომლის ფასიც განსაკუთრებულად ვიცით. თქვენი ენერგია, ტემპერამენტი, იუმორი, ჩვენი სამშობლოს სიყვარულში გახარჯულიყოს და მის ძლიერებას შეერთებოდეს!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელიწადს!

ზვიად კვაჭანტირაძე
ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი.
უმრავლესობის ლიდერი საქართველოს პარლამენტში.

დეპუტატის ბიუროს წლიური ანგარიში

საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროში საანგარიშო პერიოდში შემოსულია 193 წერილობითი განცხადება - მოქალაქეები ითხოვდნენ შეწყვეტილი სოციალური დახმარების აღდგენას, მკურნალობის დაფინანსებას, ბუნებრივი აირის შეყვანას, გზისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. აქედან დადებითი პასუხი გაეცა 122 განცხადებას, უარყოფითი-55-ს, განხილვის პროცესშია 16 განცხადება. შემოსული წერილების უმეტესობა სოციალური ხასიათისაა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაგზავნილი დეპუტატის 100-მდე შუამდგომლობიდან 73 დაკმაყოფილებულია. ხუთ მოქალაქეს სამედიცინო მომსახურეობისათვის 3000 დან - 5000-მდე ლარი გადაერიცხა.

საანგარიშო პერიოდში ზვიად კვაჭანტირაძის ინიციატივითა და უშუალო მხარდაჭერით ქალაქ ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემებში არაერთი სოციალური, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა: კალანდობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველი 10 ოჯახი დასაჩუქრდა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 10 ბენეფიციარს ავსტრიული წარმოების სამედიცინო ეტლი გადაეცა.

მიმდინარე წელს ზვიად კვაჭანტირაძის უშუალო ჩართულობით სოფელ ნატანებში კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი იუსტიციის სახლი გაიხსნა, ასევე აღდგა მერია - ლაითურის დამაკავშირებელი ორმხრივი მოძრაობის საავტომობილო ხიდი, სოფელ ბაილეთში რეაბილიტირებული საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრ, თამარ სანიკიძესთან, ერთად გაიხსნა. სულ მალე კი, სოფელ ჭანიეთში საფუძველი ჩაეყრება ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას.

ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პრემიერ - მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად ქ. ოზურგეთში ჩაის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა და ოზურგეთობის სახალხო დღესასწაულ „ალეგრობაში" მიიღო მონაწილეობა; საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ბუნებრივი აირი შეიყვანეს.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ, ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობით, ორ ოჯახს საცხოვრებელი სახლი გადაეცა.

საანგარიშო წლის მანძილზე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში კონსულტაცია გაიარა 1200-მა მოქალაქემ. ბიუროს ორგანიზებით მოეწყო დეპუტატის შეხვედრები ამომრჩევლებთან. ზვიად კვაჭანტირაძემ პირადად მოისმინა მოსახლეობის პრობლემები, რომელთა უმეტესობა დადებითად გადაწყდა.

ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო მუდმივად ესწრება და აშუქებს ქალაქ ოზურგეთში და მუნიციპალიტეტის თემებში გამართულ აქციებსა და ღონისძიებებს. მას მუდმივი კონტაქტები აქვს მოსახლეობასთან და ეხმარება მოქალაქეებს მუნიციპალიტეტებთან, სხვადასხვა სამინისტროსთან და უწყებებთან მათთვის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში.

იუსტიციის სახლის გახსნა სოფელ ნატანებში

დიდი მადლობა ზვიად კვაჭანტირაძეს!

მარტოხელა, ორი შვილის დედას, მძიმე დიაგნოზი დამისვეს. ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი გახდა ძვირადღირებული, სასწრაფო ოპერაციის ჩატარება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების გარდა, ოპერაციისთვის საჭირო 1500 ლარის გადახდა ჩემი ვალდებულება შეიქმნა, რისი საშუალებაც მძიმე სოციალური პირობების გამო, არ მქონდა. დასახმარებლად მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მივმართე, სადაც თბილად მიმიღეს და ჩემი გასაჭირი დეპუტატს შეატყობინეს. ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობის საფუძველზე ჯანმრთელობის სამინისტროსაგან შესაბამისი დაფინანსება მივიღე.

დიდი მადლობა ზვიად კვაჭანტირაძეს და მის ბიუროს თანადგომისათვის!

ნადია ქავთარაძე.
ქ. ოზურგეთი.

ზვიად კვაჭანტირაძე ბიძინა ივანიშვილთან ერთად ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაზე

ოზურგეთელ მოკრივეთა წარმატება ბათუმში

18-20 დეკემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა რაზმიკ პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელებმა.

2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის 34 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა დემეტრე გორგოშიძემ. 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის გაიმარჯვეს: 34 კგ წონით კატეგორიაში – ოთარ აბესაძემ და 38 კგ წონით კატეგორიაში – რომა აბესაძემ. 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის 34 კგ წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა ლევან ნაცვალაძემ, 57 კგ წონით კატეგორიაში III იყო ბექა იორდანიძე. მწვრთნელი იულო საჯაია.

ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი – ბათუმის ღია პირველობაზე

19-20 დეკემბერს აჭარის დედაქალაქში ჩატარდა ბათუმის ღია პირველობა ძიუდოში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ: ბაქოს ნაკრები გუნდი, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან 42 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა გელა ქურასბედიანმა (მწვრთნელი – დიმიტრი ტუღუში); 30 კგ წონით კატეგორიაში გრიშა ბურდულმა მესამე ადგილი მოიპოვა (მწვრთნელი – დავით ჩიკაშუა); ასევე მესამე ადგილის მფლობელი გახდა 50 კგ წონით კატეგორიაში ნიკა ცერცვაძე, (მწვრთნელი – გოჩა ბურჭულაძე)

თოხაძემ და შანიძემ საერთაშორისო ტურნირში გვასახელეს

18-20 დეკემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო სპორტის ოსტატის გიორგი გოგიჩაიშვილის ხსოვნიშადმი მიძღვნილი XI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ: აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ვლადიკავკაზის (რუსეთი), საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. სულ 364 მონაწილე. ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთელი მოჭიდავეები გიორგი თოხაძე და თორნიკე შანიძე. 38 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგიმ მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო, ხოლო 26 კგ წონით კატეგორიაში თორნიკემ მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი.

განცხადებები

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში იყიდება 400 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობილი საბანკეტო დარბაზი.

ქალაქ ოზურგეთში იყიდება ყველაზე კარგი სახლი. ტელ. 593 95 61 83

შევიძენ ბინას საცხოვრებელ კორპუსში. 577 60 11 88; 599 49 12 09.

სკანვორდი



№48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ედმუნდ კალანდაძე; ქართული ცეკვა – ბაღდადური; სამხედრო ფორმის ქურთუკი – კიტელი; ცენტრალური მცველი – ჰავბეკი; მესამე პირის ნაცვალსახელი – ის; გაზაფხულის მახარობელი ფრინველი – მერცხალი; ბეგარა – ღალა; რძის ნაწარმი – დო; თავხედი – ახვარი; ესპანელი ფეხბურთელი – რაული; თბილისური ჟარგონი – ტო; გაწყალებული ღვინო – დგვიფი; ინგლისელი ფეხბურთელი – ლი; ბუდეში ჩატოვებული კვერცხი – ძავალი; ქართული ლიმონის ჯიში – დიოსკურია; თმის ბუნებრივი საღებავი – ინა; გარეული ვირი – კანჯარი; არაბული ფაფა – ბურგული; ბალზაკის სახელი – ონორე; შავი ქარვა – სათი; ძალიან დიდი – დიადი; მდინარე აფრიკაში – ნილოსი; ჭურის თავსახური – როგო; ფლოტის უფროსი აღმ. ქვეყნებში – ამირბარი; იაპონური ხის ფეხსაცმელი – გეტა; ტელეკომპანია – რაი; ძგიდე – თეჯირი; მტაცებელი ფრინველი – ქორი; სასჯელის სახეობა – მოკვეთა; თანაშემწის თანაშემწე – მერიქიფე; უშვილო – ბერწი.

ჭადრაკში გურიას ახალი ჩემპიონი ჰყავს

ოზურგეთის სპორტის სასახლე ერთ კვირაზე მეტს მასპინძლობდა გურიის რეგიონის მე-20-ე საჭადრაკო ჩემპიონატს, რომელშიც ქოზურგეთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის (თემების) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების 2015 წლის ჩემპიონები და პრიზიორები მონაწილეობდა. 12 მონაწილეს შორის 9 ოსტატობის კანდიდატი და 3 პირველთარიგოსანი მოჭადრაკე ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონობისათვის. მათგან ოთხს-ლანჩხუთელ ტარიელ ხუხუნაიშვილს, ჩოხატაურელ გივი ქორიძეს და ოზურგეთელ დავით ცეცხლაძეს გასულ წლებში უკვე მოპოვებული ჰქონდათ ჩემპიონობა და ამჯერადაც ამ ტიტულისათვის იბრძოდნენ. აღსანიშნავია,რომ დღემდე გურიის ჩემპიონობა ცხრა მოჭადრაკეს ჰქონდა მოპოვებული, მ.შ. ოთხ ლანჩხუთელს - ნუგზარ გვარჯალაძეს,რუსუდან ჭკუასელს, ქრისტინა მჟავიას და ნუგზარ გვარჯალაძეს და ტარიელ ხუხუნაიშვილს, ჩოხატაურელ გივი ქორიძეს და ოზურგეთელ დავით ცეცხლაძეს გასულ წლებში უკვე მოპოვებული ჰქონდათ ჩემპიონობა და ამჯერადაც ამ ტიტულისათვის იბრძოდნენ. აღსანიშნავია,რომ დღემდე გურიის ჩემპიონობა ცხრა მოჭადრაკეს ჰქონდა მოპოვებული, მ.შ. ოთხ ლანჩხუთელს - ნუგზარ გვარჯალაძეს,რუსუდან ჭკუასელს, ქრისტინა მჟავიას და ტარიელ ხუხუნაიშვილს, ორ-ჩოხატაურელს - ამირან ბერძენიშვილს და გივი ქორიძეს და სამ ოზურგეთელს-თორნიკე ხვედელიძეს,მინდია ჩხიკვიშვილს და დავით ცეცხლაძეს.

ჩემპიონატი ძალზე საინტერესოდ წარიმართა, გათამაშებული 66-ვე პარტიის შედეგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სატურნირო მდგომარეობის დინამიკას. ჩემპიონატის ეკვადორზე 7 მოჭადრაკე თითქმის თანაბრად ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს. ბოლო ტურში კი მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა. ლანჩხუთელ ტარიელ ხუხუნაიშვილს, რომელსაც მხოლოდ 1,5 ქულა ჰქოდა დაკარგული, ჩემპიონობისათვის გივი სიამაშვილთან ყაიმი ჰყოფნიდა. გივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს პრინციპული პარტია მოიგო, რითაც განსაზღვრა, რომ ჩემპიონი ოზურგეთელი გახდებოდა. კონკრეტულად თუ ვინ გახდებოდა ჩემპიონი, ბოლო პარტიაში გადაწყდა, რომელიც გიორგი გოგოლაურმა მოიგო და ნახევარი ქულით გაუსწრო მეორე ადგილოსან გივი სიამაშვილს. გურიის ყოფილმა ჩემპიონებმა ტარიელ ხუხუნაიშვილმა, გივი ქორიძემ, დათო ცეცხლაძემ და ნუგზარ გვარჯალაძემ შესაბამისად მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები დაიკავეს. როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორმა ზურაბ ანდღულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, 25 წლის გიორგი გოგოლაური ნადვილად იმსახურებდა გამარჯვებას, იგი დიდი ხანია იბრძოდა ამისთვის,სამჯერ(!) ვიცე-ჩემპიონი იყო და ორჯერ მესამე პრიზიორი. გივი სიამაშვილის ვიცე-ჩემპიონობა კი, მისი უდავოდ დიდი წარმატებაა. მანამდე მას ქალაქის და რაიონის პირველობები ჰქონდა მოგებული. ასე, რომ ოქრო და ვერცხლი ოზურგეთელებს დარჩა, ბრინჯაო კი ლანჩხუთელს. ჩოხატაურელი გივი ქორიძე,რომელიც მანამდე ორჯერ ფლობდა ჩემპიონის ტიტულს და ორჯერაც პრიზიორი იყო, ამჯერად მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ჩემპიონატი მაღალ ორგანიზებულად ჩატარდა,რაშიც კვალიფიციური მსაჯობით თავისი წვლილი შეიტანეს ნუგზარ მგელაძემ და ანზორ ქუტიძემ.

ჩემპიონატის დახურვა საზეიმო ვითარებაში წარიმართა, რომელსაც მრავალი ჭადრაკის გულშემატკივარი დაესწრო. წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოდა სპეციალური დიპლომებით, მედლებით, ფულადი ჯილდოებით და ფასიანი საჩუქრებით, რომლის გადაცემაში მონაწილეობდნენ გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე, ოზურგეთის მაჟორიტარი პარლამენტარის ბიუროს უფროსი მურთაზ ფოცხიშვილი და ჩემპიონატის ორგანიზატორები გორა კვანტალიანი და ზურაბ ანდღულაძე. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, მიშიკო ქურიძეს პრიზი გადასცა ს/ს „იმედის“ დირექტორმა ოლეგ გობრონიძემ. ჩემპიონატის დახურვაზე აღინიშნა გურიის ჭადრაკის ფედერაციის ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია წარმატებით ემსახურება რეგიონში სპორტის, ამ ბრძნული თამაშის განვითარების საქმეს. ითქვა იმის შესახებაც, რომ რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში ჭადრაკს საჭირო დონეზე ყურადღება ჯერ კიდევ ვერ ექცევა და იგი ადგილობრივი ხელისუფლებიდან მეტ მხარდაჭერას მოითხოვს.

ზურაბ ანდღულაძის თქმით, მომავალ წლისათვის გურიის ჭადრაკის ფედერაციას საკმაოდ საინტერესო და დატვირთული კალენდარი ეჭნება, რომელიც მოცული იქნება, როგორც მუნიციპალური და რეგიონალური, ისე რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებებით.

კაცი, რომელსაც უყვარდა ოზურგეთი

ადამიანებს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეში გაკეთებული საქმეებით აფასებენ. ასეთ ადამიანთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ძირძველი ოზურგეთელი, ქალაქის კოლორიტი რევაზ (ქუჩუჩი) კეჭაყმაძე.

მისი ოჯახი ქალაქის გულში ცხოვრობდა და შესანიშნავი მშობლები ჰყავდა, რაიონში ცნობილი ადამიანები ილიკო კეჭაყმაძე და ელენე ორაგველიძე. ამ ოჯახში აღიზარდა საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორი, საქართველოს ჰიმნის ავტორი იოსებ კეჭაყმაძე. რევაზ კეჭაყმაძემ უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო და მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. შექმნა შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე ქალბატონი ნუნუ, შვილები ილია და ელენე, რძალი მარინა დოლიძე, სიძე დათო ზოდელავა, შვილიშვილები, შვილთაშვილები ღირსეულად აგრძელებენ ამ ლამაზი ოჯახის ტრადიციებს...

ბატონ რევაზის მიერ გაკეთებულ კარგ საქმეთაგან მისი სიცოხლის ბოლოდროინდელ საქმიანობას შევეხებით.

იგი სიამაყით ატარებდა ქალაქის საკრებულოს დეპუტატის ტიტულს, რომელსაც ხანდახან „სენატორსაც“ უწოდებდა. ხელმძღვანელობდა კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიას.

მან დიდი ხნით ადრე დაიწყო ბრძოლა ქალაქის წყალმომარაგების პრობლემის ადგილიდან დაძვრისათვის. „კალუას“ პროექტის მომხრეების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. იგი აქტურად იყენებდა დეპუტატის უფლებამოსილებას, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებს, აუდიტორიებს...

2002 წლის 22 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რევაზ კეჭაყმაძის საინტერესო სტატია დაიბეჭდა - „მწყურვალისათვის მიგვატანინეთ წყალი... მიხედეთ მშობლიურ ქალაქს ოზურგეთელო ბიზნესმენებო.“ გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან:

„ვინც ამ ორმოცდაათიოდე წლიწინათ ქალაქ ოზურგეთში ყოფილა, შეამჩნევდა მის შუაგულში (ახლანდელი დავით აღმაშენებელის ქუჩაზე) ჭას წარწერით: „1894 წელს ეს ჭა გავაკეთე მე, ამბაკო ნიკოლოზის ძე სალუქვაძემ, საკუთარი ჩემი ხარჯით, სასიამოვნოდ ქალაქისა და სოფლისა. ღმერთმა შეარგოს, ვინც მიირთვას, გთხოვთ ლამაზად მოეპყროთ...“

დღესდღეისობით უწყლოდ დარჩენილი ოზურგეთელები ღვთის წყალობას ელოდებიან,იმედოვნებენ — იქნებ გამოჩნდეს ამბაკო სალუქვაძის მსგავსი, ღვთისნიერი მამულიშვილნი, რომლებიც გულთან მიიტანენ ქალაქის უპირველეს სატკივარს წყალთან დაკავშირებით და პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამენ „სასიამოვნოდ ქალაქის და სოფლისა.“

მარცხნიდან მარჯვნივ: ილარიონ ჩხაიძე, რევზო წიკაიშვილი, ქუჩუჩი კეჭაღმაძე, თენგიზ ვასაძე, ოთარ თევდორაძე, თენგიზ კუნჭულია, ილო ბილიხოძე; ზის რუბიკა ხუჭუა.

აღნიშნული საკითხის რეალურად შემსრულებლად თქვენ გვესახებით, ძვირფასო ოზურგეთელებო, მეცენეტებო, ქალაქის გულშემატკივრებო! ერთად დავდგეთ და ერთობლივი ძალებით მივხედოთ მშობლიურ ქალაქს!“

ამ თემაზე მისი ინიციატივით ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაც კი ჩატარდა საკრებულოს წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების და ჟურნალისტების მონაწილეობით.

ქალაქის საკრებულოს კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის 204 წლის ანგარიშში იგი წერდა: „ მეტად აქტუალურია და დღის წესრიგიდან არ იხსნება სასმელი წყლის საკითხი. 2005 წლისათვის არის შანსი იმისა, რომ საბოლოოდ გადაწყდეს პრობლემა და ქ. ოზურგეთს თვითდინებით მიეწოდოს სასმელად ვარგისი წყალი...“

არანაკლები მონდომებით შეუდგა იგი ქალაქის სასაფლაოების მოწესრიგების საკითხს.

ამ თემაზე იგი ერთ-ერთ ცნობილ ბიზნესმენს წერდა: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მრავალნიშნთაგან, რომელიც განვითარებულ ქვეყანაზე მიგვანიშნებს, უდაოდ ისიცაა, თუ როგორ მოვლილია ეკლესიები, სასაფლაოები, გზები, მწვანე ნარგაობა.“

ამ წერილში იგი დეტალურად აღწერდა, როგორ უნდა კეთილმოეწყოთ ექადიის ჯვართამაღლების ეკლესიის (ამჟამად ეს ხის ტაძარი ექადიის ტყე-პარკის ტერიტორიაზეა გადატანილი), ეზო, მისასვლელი გზები და პერსპექტივაში თხოვდა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენას, აგებულს 1355 წელს ელენე და გიორგი გურიელების მიერ...“

„წმიდა გიორგის ეკლესიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დამახასიათებელი ტიპიური რელიეფური მდებარეობა აქვს— მდინარე ბუჟის თავზე, შემაღლებაზე, ყორეთ შემორკალურ ალაგას. რაოდენ ამაღლებული და საამაყო იქნება აღდგენილი წმიდა გიორგის ეკლესია და მისი არქიტექტურულ-დეკორატიული განათება შუქფარებით. ეს რა თქმა უნდა სამომავლო ფიქრებია...“

აქვე მოვიყვან მის ყურადღებას ჟურნალისტების მიმართ, თუ როგორი დაუვიწყარი საღამო აჩუქა ოზურგეთელ ჟურნალისტებს პროფესიულ დღესთან დაკავშირებით.

ექადიელმა ბიზნესმენმა აღადგინა წმიდა გიორგი სახელობის ტაძარი. დღისით მზისგან და ღამით სპეციალური განათებისგან განსაკუთრებული ელფერი და სიდიადე აქვს უფლის სახლს. ბატონი რევაზის ვაჟის ილია კეჭაყმაძის ძალისხმევით სოფელ ნაღობილევში აშენდა წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძარი. ქალაქის მერია ზრუნავს სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე და შესაბამის სამსახურია შექმნილი. ქალაქის წყალმომარაგების პრობლემა საბოლოოოდ წყდება. როცა ამ ამ თემებზე ვსაუბრობთ, შეეცადეთ გაგვეხსენებია კაცი, რომელსაც ეს ქალაქი განსაკუთრებულად უყვარდა და მისი უკეთესი მერმისისათვის ზრუნავდა.

ჩვენო საყვარელო და საამაყო სიძევ, თამაზ!



თავზე მეხის ვარდნას ჰგავდა ჩვენთვის შენი უეცარი გარდაცვალება. 1982 წლიდან, როცა ჩვენი სიძე გახდი, უსაზღვროდ შეგვაყვარე თავი არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ ჩვენს სოფელ ბაილეთს. ლამაზი კაცი იყავი როგორც გარეგნობით, ისე შენი შინაგანი სულიერი სამყაროთი — სიკეთით, სითბოთი, სისხლით, ხორცით, ჯანსაღი იუმორით, ადამიანებთან ურთიერთობით. ოქროს გული გქონდა, რომლითაც მუდამ სიხარულსა და სიყვარულს თესავდი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ „ჩემს ქალიშვილ ნანასთან ერთად, იყავი არა მარტო ბაილეთელი, არამედ ოზურგეთელი ნაცნობ-მეგობრების გულმხურვალე მასპინძელი, რის გამო უსაშველოდ უყვარდათ თქვენთან სტუმრობა და თქვენეული პურმარილი.

წარმატებით გქონდა დამთავრებული საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მრავალი წელი მუშაობდი ფიზკულტურის მასწავლებლად ბაკურიანისა და ანდეზიტის საშუალო სკოლებში და კეთილსინდისიერად ასრულებდი შენს მოვალეობას. ასევე იყავი გამოჩენილი სპორტსმენი სათხილამურო სპორტში, აქტიურ მონაწილეობას იღებდი რესპუბლიკურ და რეგიონულ ღონისძიებ-ებში. სამწვრთნელო საქმიანობას ეწეოდი ახალგაზრდებთან, რომლებიც შთამბეჭდავ შედეგებს აღწევდნენ და დიდად გემადლიერებეოდნენ. ამის მაგალითად ხულოს დასახელებაც საკმარისია.

ნაყოფიერი ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობისთვის მიღებული გქონდა მრავალი ჯილდო, სხვადასხვა პრიზები, საპატიო დიპლომები.

ჩვენო საყვარელო თამაზ! ჩვენს საყვარელ ნანასთან ერთად შექმენი შესანიშნავი ოჯახი, აღზარდე სამი ღირსეული შვილი — ნინო, თამარი, ვანო, სამივეს უმაღლესი განათლება მიაღებინე, სამივე ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში. განსაკუთრებულად გიცნობდნენ იმითაც, რომ უსაშველო მეგობრობა გქონდა მათთან, ალბათ, ძნელად მოიძებნება ისეთი მამაშვილობა, როგორიც თქვენ გაგაჩნდათ.

მოუთმენლად ველოდებოდით ახალი წლის აღნიშვნას შენთან ერთად, რასაც სამწუხაროდ ველარასოდეს ველირსებით, მაგრამ გწამდეს, გჯეროდეს, რომ შენს სახელსა და კაცობას არასოდეს დავივიწყებთ.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი უმანკო სული.

გეხვევით და გკოცნით ბევრს

შენი ბიჭიკოევიჩი, სიმამრი ამირანი, მეუღლის ძმა ნიკუშა, რძალი ნაირა, შენი უმცროსი „ძმა“ და მეგობარი ამუკა.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს,შობას! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ღვთის მადლსა და წყალობას! 2016 წელი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წელია. მინდა, დამდეგი წელი თავისუფალი და სალი აზრის გამარჯვების წელი იყოს, რომ ჟოველმა ოჯახმა საქართველოში, რეალურად იგრძნოს სულიერი სიმშვიდე და მატერიალური კეთილდღეობა, ქვეყანაში დაისადგუროს თანხმობამ, შემწყნარებლობამ, ურთიერთპატივისცემამ.

გილოცავთ, კიდევ ერთხელ და გისურებთ წარმატებულ, ძლიერ, თავისუფალ და ერთიან საქართველოში ცხოვრებას!

თემურ სალუქვაძე
„თავისუფალი დემოკრატების“

სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ შობა-ახალ წელს. მრავალს დაესწარით. ფუძე-ჭერი დაგელოცოთ. სიტკბო, ხვავი და ბარაქა მოგვადლოთ უფალმა. იმრავლეთ, იხარეთ და იცოცხლეთ ქვეყნისა და თქვენი მოდგმის სასახელოდ.

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!

ლელა საჯაია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით ოზურგეთში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს. უფალს შევთხოვ, შეგვაძლებინოს სიკეთის კეთება, რომელიც უსათუოდ სიკეთითვე დაგვიბრუნდება.

ლელა შარაშენიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრ. კილაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი

ბავშვთა გასართობი ცენტრი „პინოქიო“ ერთი წლისაა

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გთავაზობთ საახალწლო კარნავალს, სადაც თქვენ გელით თქვენი საყვარელი ზღაპრის გმირები, თოვლის ბაბუა და საჩუქრები. პროგრამა მრავალფეროვანია, საახალწლო ფასდაკლებით.

გვეწვიეთ:
ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №5ა
ტელ: 557 73 90 06

შპს „ვასაძის პური“ და მაღაზია „ნატალი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს

ლუდის ბარი „ნატახტარი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!

სასტუმრო „ბრუქსი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს! თქვენს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ნომრები, საუკეთესო კომფორტით.

მის: ოზურგეთი, გურიის ქ. №17

შპს „როიალ გაზი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მის: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. (ექადია)

სს „ტრანსსერვისი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ტაქსი გამოძახებით: 0(496)275544; 0790554455